ქ.ზუგდიდი 27 ივნისი/2023წ.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №116

ერთის მხრივ შპს ,,სამედიცინო ცენტრი დიომედი აფხაზეთი“ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორი ლაშა ლეჟავას სახით და მეორეს მხრივ, შპს“საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები”, (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნინო მენთეშაშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს₁“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია "საფოსტო/საკურიერო მომსახურება“ (CPV 64100000 -საფოსტო/საკურიერო მომსახურება) შესყიდვის ახელშეკრულების პირობების, ***დანართი №1 -ის და დანართი N2 - სი*** შესაბამისად .

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **200** (ორასი ლარი და 0 თეთრი) ლარს. ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. გაწეული მომსახურების შესახებ საანგარიშგებო დოკუმენტაცია „შემსყიდველს“ წარედგინება არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,სამედიცინო ცენტრი დიომედი აფხაზეთი“ ის მთავარი ექიმი - ეკატერინე როგავა; შპს ,,სამედიცინო ცენტრი დიომედი აფხაზეთი“ ხობის ფილიალის <u>მთავარი ექიმი - ლალი ბერაია;</u> შპს ,,სამედიცინო ცენტრი დიომედი აფხაზეთი“ ჯვარის ფილიალის <u>მთავარი ექიმი ;</u>

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: შპს ,,სამედიცინო ცენტრი დიომედი+“ ის იურიდიული და ფაქტიური (ფილიალების) მისამართები, ესენია:

- ქ.ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. პირველი შესახვევი N2;
- ქ.ხობი, გამსახურდიას ქ. N6;
- წალენჯიხა, ქ. ჯვარი, სარალიძის ქ. N1

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრამდე.

შემსყიდველი:
შპს ,,სამედიცინო ცენტრი დიომედი აფხაზეთი“
მისამართი: ქ.ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. პირველი შესახვევი, N2
საიდენტიფიკაციო კოდი 220395347
სს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის № GE44TB7375836030100001
ტელ: 555 500 681
ელ-ფოსტა: apkhazetidiomedi@gmail.com

გენერალური დირექტორი:
ლაშა ლეჟავა

Lasha Lezhava 62006061900
Digitally signed by Lasha Lezhava
Date: 2023.06.28 23:23:57

მიმწოდებელი:
შპს , საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები,“
მის:ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი #25
ს/კ:204885810 ;
სს “თი-ბი-სი”-ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშის № GE47TB0600000022467240
მობ: 599587806
ელ-ფოსტა: tako@icsgeorgia.ge

Information Communications Systems LLC
Digitally signed by Information Communications Systems LLC
Date: 2023.06.27 17:04:17 +04'00'

გენ.დირექტორი: /ნ.მენთეშაშვილი/

<u>დანართიN1</u>

საკურიერო მომსახურების დაფარვის ზონა საქართველოს მასშტაბით

I ზონა	II ზონა		III ზონა	IV ზონა
თბილისი	ბათუმი	აბაშა	სენაკი	ლენტეხი
	ფოთი	ბაღდადი	ლაგოდეხი	მესტია
	ქუთაისი	გარდაბანი	ამბროლაური	ტყიბული
	წყალტუბო	ლანჩხუთი	ყვარელი	ქედა
	ზესტაფონი	მარნეული	შუახევი	სტეფანწმინ
	ხაშური	მცხეთა	ჩხოროწყუ	ცაგერი
	გორი	ოზურგეთი	თიანეთი	ახმეტა
	კასპი	ქობულეთი	ხარაგაული	ასპინძა
	ქარელი	რუსთავი	ხელვაჩაური	ხულო
	საგარეჯო	სამტრედია	ხობი	ახალქალაქი
	სიღნაღი	ვანი	თეთრიწყარო	ახალციხე
	თელავი	ხონი	საჩხერე	ნინოწმინდა
	გურჯაანი	ზუგდიდი	თერჯოლა	ჩოხატაური
			ბოლნისი	წალკა
			ონი	ადიგენი
			ჭიათურა	დედოფლისწ
			დმანისი	დუშეთი
			წალენჯიხა	
			მარტვილი	
			ბორჯომი	

წონა კგ	I ზონა	II ზონა	III ზონა	IV ზონა	სოფლები
0 - 5-მდე	5 ლარი	10 ლარი	20 ლარი	25 ლარი	25 ლარი
5-10-მდე	10 ლარი	15 ლარი	25 ლარი	30 ლარი	30 ლარი
10-20-მდე	15 ლარი	20 ლარი	40 ლარი	40 ლარი	50 ლარი
20-40-მდე	30 ლარი	40 ლარი	60 ლარი	60 ლარი	80 ლარი
40-60-მდე	50 ლარი	70 ლარი	80 ლარი	80 ლარი	120 ლარი
60-80-მდე	70 ლარი	80 ლარი	90 ლარი	120 ლარი	180 ლარი
70-100-მდე	90 ლარი	120 ლარი	150 ლარი	180 ლარი	200 ლარი
100 კგ-ის ზევით 1 კგ-ის ფასი - 2,00 ლარი.					2.50 ლარი

გზავნილთა ჩაბარების ვადებია: 2-5 სამუშაო დღე.

სასწრაფო გზავნილის ფასი თბილისში - 20 ლარი

სასწრაფო გზავნილზე შეკვეთის დაფიქსირება - 13:00 სთ-მდე

მოცულობითი წონის გამოთვლის ფორმულა:
სიგრძე*სიგანე*სიმაღლე/6000.

ქ.ზუგდიდი 27 ივნისი 2023წ.

<u>დანართი N2</u>

#	შემსყიდველის დასახელება	საიდენ/ ნომერი	მისამართი	საკონტაქტო ნომრები
1	შპს ,,სამედიცინო ცენტრი დიომედი აფხაზეთი“ ზუგდიდის ფილიალი	220395347	ქ.ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. პირველი შესახვევი, N2	555 500 681
2	შპს ,,სამედიცინო ცენტრი დიომედი აფხაზეთი“ ხობის ფილიალი	220395347	ქ.ხობი, გამსახურდიას ქ. N6	577 092 575
3	შპს ,,სამედიცინო ცენტრი დიომედი აფხაზეთი“ ჯვარის ფილიალი	220395347	წალენჯიხა, ქ. ჯვარი, სარალიძის ქ. N1	555 500 681